ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1430

ქალაქი ბათუმი 22/12/2016

1430-05-4-201612221649

ჭადრაკში შემეცნებით-გასართობ ტურნირზე ჩართული პედაგოგების დაჯილდოების შესახებ

მიმდინარე წლის 15 დეკემბერს ჩატარდა ჭადრაკში შემეცნებითი-გასართობი ტურნირი, რომლის ფარგლებში გამოიკვეთა აქტიური პედაგოგები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით ,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2016 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის #97 განკარგულებით დამტკიცებული დანართი #2, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2016 წლის 15 დეკემბერს ჭადრაკში ჩართული პედაგოგებისათვის გამოიყოს **450** (ოთხასორმოცდაათი) ლარი დანართი №1 შესაბამისად.
2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურს (ტ.ნაკაშიძე) უზრუნველყოს გამოყოფილი მიზნობრივი თანხების დაფინანსება.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგარდულ საქმეთა სამსახურს.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნადიმ ვარშანიძე

გამგებელი

ხელმძღვანელობა